**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

**მინისტრის N01-260/ო ბრძანების თანახმად „ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების“ სისტემისა და „ელექტრონული ჯანდაცვის“ მოდულების ინტეგრაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

**სამუშაო ჯგუფის სხდომის**

# ოქმი #4

**თბილისი, SSA, II** **17.09.2015წ.**
**17:00 სთ.**

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**<u>თენგიზ აბაზაძე</u> -** სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსის მოადგილე

<u>ირაკლი ტაბატაძე</u> - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი

<u>ალექსანდრე ლახტინი</u> - EMC, სისტემური არქიტექტორი

<u>ალექსანდრე კუტიკოვი</u> - EMC, პროექტის მენეჯერი

<u>გია ჯღარკავა</u> - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

<u>მიხეილ ჯანიაშვილი</u> - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი

<u>ივანე გოლიაძე</u> - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

## **ს ხ დ ო მ ი ს  დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი**

„ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ელექტრონული სისტემის დანერგვის და საყოველთაო ჯანდაცვის მართვის ელექტრონულ სისტემასთან ინტეგრაციის პროცესების შეთანხმება, კოორდინაცია, რისკების მართვა და სამომავლო ცვლილებების დაგეგმვა.

1. კომპანია **EMC**-ისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების (**IT**) წამომადგენლებმა დასვეს პროექტის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოსა (**SSA**, როგორც **HSSP მოდულებ**ის მომხმარებელი და ადმინისტრატორი) და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს (როგორც **EMR**-ის ადმინისტრატორი) შორის კოორდინაციის საჭიროება.

2. **SSA**-ის წარმომადგენლებმა (**თენგო აბაზაძე, ირაკლი ტაბატაძე**) დააფიქსირეს, რომ უახლოეს მომავალში არ გეგმავენ ცვლილებებს მოდულების ფუნქციონალსა და ბიზნეს-პროცესებში.

3. **SSA**-ისა (**თენგო აბაზაძე)** და **IT**-ის წარმომადგენლებმა (**მიხეილ ჯანიაშვილი, ვანო გოლიაძე**) აღნიშნეს, რომ დასაზუსტებელია სამინისტროს მხრიდან HSSP მოდულების მიღებისა და სარგებლობისთვის სააგენტოსთვის გადაცემის მექანიზმი და გრაფიკი. დაიგეგმა დისკუსია და საკითხის სამომავლო განხილვა იურისტების ჩართულობით.

4. **SSA**-ისა და **IT**-ის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, რომ ამ ეტაპზე პრობლემები ძირითად ორი მიმართულებითაა:
   a. კომუნიკაციის ნაკლებობა ორ სტრუქტურას შორის
   b. **HSSP** მოდულების მიმდინარე გადმობარების გამო რესურსების ოპტიმიზაციის, ლოკალიზაციისა და უტილიზაციის სირთულეები.

5. SSA-ის წარმომადგენელმა (**ირაკლი ტაბატაძე**) აღნიშნა, რომ სააგენტოს მიერ განხორციელებული ერთ-ერთი სოციალური პროგრამის (**ჰეპატიტი C**) ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხში არსებობს სირთულეები, რომელთა გადაჭრაც შეიძლება იყოს შესაძლებელი EMR-ის საშუალებით. შესაბამისი ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ (**კახა ჩხარტიშვილი, მაგდა ნასყიდაშვილი**) გადაეცა **IT**-ის წარმომადგენელს (**გია ჯღარკავა**).

**EMR პროექტის მენეჯერი**

**გიორგი ჯღარკავა**